ფინანსური რისკების დაზღვევის ტენდენციები საქართველოში



საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული საბაზრო მექანიზმების ფორმირება-ამოქმედებასა და მათი ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობასთან.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში წარმოშობილი მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დღის წესრიგში აყენებს მათი გადაწყვეტისთვის ყველაზე მოქნილი და ეფექტიანი გზების ძიებას. საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმირების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ერთი მხრივ, ბაზრის, როგორც ეკონომიკური სისტემის, უპირატესობათა მაქსიმალური გამოვლენა და საბაზრო ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფორმირება-ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკურად მიზანშეწონილი მასშტაბებით განხორციელება იმ ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც განვითარების მოცემულ ეტაპზე ყველაზე მეტად მიესადაგება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეალური ზრდის მოთხოვნებს.

ფინანსურ სექტორში ყველაზე მეტად განვითარებულია საბანკო სექტორი, სადაც ხორციელდება მრავალი ინოვაცია. მომსახურების სფეროში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა, რაც ფინანსური ტექნოლოგიების სირთულის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს, ბანკების საქმიანობა სულ უფრო მრავალფეროვანი და რთული გახადა. შედეგად, საბანკო სისტემაში სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ რისკების მართვას. საბანკო პრაქტიკაში რისკი არის გარკვეული შემთხვევების დადგომისას ბანკისთვის ზარალის მიღების საშიშროება. იმ ბანკებში, სადაც ეფექტურად ხდება რისკების მართვა, დიდი ალბათობით სწორადაა ორგანიზებული რისკების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულების საქმიანობა.

რაც შეეხება რისკების დაზღვევის მსოფლიოში აღიარებულ და დანერგილ პრაქტიკას, როდესაც ბანკები თვიანთ რისკებს აზღვევენ სადაზღვევო კომპანიებში და დამდგარი რისკის დროს უშულოდ სადაზვევო კომპანია გამოდის პასუხისმგებლის როლში, საქართველოში მსგავსი პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს, უფრო ზუსტად კი ჯერაც ჩანასახის სტადიაშია. ფინანსური რისკების დაზღვევის წილი ეროვნული ბანკის 2012 წლის ანგარიშით 0.5%-ს შეადგენს [8, გვ. 89]

საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს შედეგის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგის უარყოფითი გადახრის ალბათობას [23. გვ. 27]. ამ განმარტების ქვეშ ძირითადად იგულისხმება მომავალში მოსალოდნელი შედეგის მკაფიოდ დადგენის შეუძლებლობა, რის შედეგადაც შესაძლოა საბანკო დაწესებულებამ იმაზე უარყოფითი შედეგი მიიღოს, ვიდრე ეს მას აქვს განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ საბანკო დაწესებულებებს წინასწარ აქვთ შემუშავებული მისაღწევი გეგმები (სცენარი), რომლის მიუღწევლობაც მათთვის ნიშნავს ფინანსურ რისკს. შესაბამისად, საბანკო დაწესებულებები ცდილობენ განსაზღვრონ ე.წ. საბანკო რისკები და მართონ ისინი ისეთნაირად, რომ უარყოფითი გადახრის შემთხვევაში რეაგირების გზით მოახდინონ რისკების მინიმიზება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიდგომით, რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არ არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან. ვინაიდან რისკების იგნორირება შეუძლებელია, კომერციული

ბანკების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს რისკების შემცირება. მასში იგულისხმება ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა ერთის მხრივ კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და მეორეს მხრივ საკუთარ კაპიტალს შორის [1. გვ. 287-288).

საბანკო რისკები სამ ძირითად კატეგორიაში ერთიანდებიან: საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები და ოპერაციული რისკები.

საკრედიტო რისკი არის ბანკის კლიენტების მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის ან გაკოტრების შედეგად გამოწვეული დანაკარგების რისკი. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან (დებიტორები) სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორიცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვ.

საოპერაციო რისკებს განეკუთვნება დანაკარგის ან სანქციის რისკი, რაც გამოწვეულია პროცედურებისა და შიდა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, ხარისხის კონტროლის სისტემაში შესაძლო ჩავარდნებით, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით.

საბაზრო რისკებს განეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების (ფასიანი ქაღალდების) საბაზრო ფასების და უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებით, მერყეობით და საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერი სხვა ცვლილებით გამოწვეული რისკები. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო, საფონდო, სავალუტო და სასაქონლო პოზიციების რისკებს. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ბანკის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის საქმიანობისგან (ინვესტიციების განხორციელება, სხვა კომპანიათა კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა, სესხების გაცემა და სხვ.)

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი. საპროცენტო რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილების შედეგად.

ბანკების რისკი მათ მარჟასაც ეხება (მარჟა არის სხვაობა ბანკის მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთსა და ანაბრებზე გაცემულ პროცენტს შორის). საპროცენტო რისკი იმის საშიშროებაა, რომ შემცირდება მოგების მომტანი აქტივების შემოსავლიანობა, ან მნიშვნელოვნად მოიმატებს პროცენტების გაცემაზე გაწეული ხარჯები და თანაც შემცირდება ბანკის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა, ე.ი. წმინდა მოგება. ბოლო წლებში ბანკებმა მიაგნეს საპროცენტო რისკის შემცირების ხერხებს, მაგრამ მისი მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელია.

ლიკვიდობის რისკი - არის ბანკის რისკი, გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

ა) საბაზრო ლიკვიდობის რისკი, კერძოდ რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ბანკმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით.

ბ) დაფინანსების ლიკვიდობის რისკი, კერძოდ რისკი იმისა, რომ ბანკმა ვერ უზრუნველყოს აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანა ან სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან.

ლიკვიდობის რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორიცაა: **კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა** და სხვა. ლიკვიდობის რისკის მართვა უკიდურესად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდობის პრობლემები შეიძლება დამანგრეველი იყოს არა მარტო ბანკისთვის, არამედ მთლიანად საბანკო სექტორისთვის [4].

საბანკო რისკების რეგულირება მეთოდების ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია რისკისგან ბანკის დაცვისკენ. ფინანსების გლობალიზაციის პირობებში იზრდება საერთაშორისო რეგულირების მნიშვნელობა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მსოფლიო საფინანსო სისტემის მყარი განვითარების ხელშეწყობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში იცვლება საბანკო რეგულირებისადმი და ზედამხედველობისადმი ტრადიციული მიდგომა. საბანკო ზედამხედველობის ორგანოები სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საბანკო კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგს და გადადიან რისკების მართვის პროცესის მონიტორინგზე, რომელსაც თავად ახორციელებენ. მეორე მნიშვნელოვანი სიახლეა ინფორმაციის საჯაროობისადმი მოთხოვნების გამკაცრება, რომელიც მიმართულია აღნიშნული მონიტორინგის ფუნქციების საზოგადოებაზე გადატანისკენ [2, გვ. 27-32].

საბანკო სისტემის რისკების რეგულირების მექანიზმები საკმაოდ მრავალფეროვანია და როგორც წესი კომპლექსურად მოქმედებენ, ანუ ავსებენ ერთმანეთს. საბანკო სისტემის დონეზე ძირითად მარეგულირებლებს სახელმწიფო ორგანოები (ჩვეულებრივ ცენტრალური ბანკის სახით) და თვითრეგულირებადი ორგანოები (კომერციული ბანკების რისკების მართვის სამსახურები) წარმოადგენენ. თუმცა,

ბოლო პერიოდში ბევრი ქვეყნის საბანკო სექტორის მიერ განსაკუთრებული ყურადღება გადატანილია საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (The Basel Committee on Banking Supervision) მიერ შემოთავაზებულ რეგულირების მექანიზმებზე, რომლის იმპლემენტაციაც ჯერ ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ იწყება, ხოლო შემდეგ მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა კომერციულ ბანკებს ეკისრებათ.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი არის ფორუმი საბანკო ზედამხედველობის საკითხებში რეგულარული თანამშრომლობისათვის. მისი მიზანია მსოფლიო მასშტაბით გააძლიეროს ზედამხედველობის საკითხები და საბანკო ზედამხედველობის ხარისხი. კომიტეტის წევრია მსოფლიოს 27 ქვეყანა. კომიტეტის ამოცანაა ინფორმაციის გაცვლის ეროვნული საზედამხედველო საკითხების, მიდგომების და ტექნიკის შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს პრობლემათა საერთო გაგებას. კომიტეტი საყოველთაო გამოყენებისათვის ამუშავებს გაიდლაინებსა და საზედამხედველო სტანდარტებს.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი კომიტეტი ყველაზე მეტად ცნობილია კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისო სტანდარტებით, ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ფუნდამენტური პრინციპებით და ტრანსსასაზღვრო საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო შეთანხმებით. კონტაქტების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება საბანკო ხელმძღვანელების საერთაშორისო კონფერენცია (ICBS). საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი კომიტეტის სამდივნო განთავსებულია საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკში ბაზელში (შვეიცარია). კომიტეტში მომუშავე ექსპერტები საჭიროებისამებრ აძლევენ რჩევებს ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს საზედამხედველო საკითხებში.

„ბაზელი II“, რომელიც წარმოადგენს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებს, 2004 წლის ივნისში გამოქვეყნდა და მას შემდეგ ბევრმა ქვეყანამ დაიწყო საკუთარი საბანკო ზედამხედველობის რეგულირების ამ ახალ პრინციპებზე გადასვლა. ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტის მონაცემებით, 2015 წლამდე დაახლოებით, 95 ქვეყნის რეგულატორი ამა თუ იმ ფორმით განახორციელებს „ბაზელი II“-ს რეკომენდაციებს. საქართველოში მისი დანერგვა 2011 წლისათვისაა დაგეგმილი [4].

„ბაზელი II„ ითვალისწინებს, როგორც საკრედიტო და საბაზრო, ისე საოპერაციო რისკებსაც. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა საოპერაციო რისკის შემთხვევების კატეგორიები, რომელთა დადგომასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვეს [17]:

- **შიდა მაქინაციები — მაგალითად: ტრანზაქციის შეცდომით გატარება, თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, მითვისება, გამოძალვა, ქრთამის აღება და სხვა**
- **გარე მაქინაციები — მაგალითად: გარეშე პირების მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, ყაჩაღობა, გაყალბება (ფულის, ჩეკების, დოკუმენტების), „ჰაკერობა„ და სხვა;**
- **თანამშრომელთა ქცევა და უსაფრთხო სამუშაო გარემო — მაგალითად: თანამშრომელთა მხრიდან კომპენსაციების მოთხოვნა მორალური ან ფიზიკური ზიანისა და დისკრიმინაციისათვის, თანამშრომელთა ორგანიზებული გაფიცვები და სხვა;**
- **ბიზნესის, პროდუქტების და კლიენტთა ქცევები - მაგალითად: ფიდუციარული (ნდობითი) შეთანხმების დარღვევა, კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, უთანხმოება საკონსულტაციო საქმიანობასთან დაკავშირებით, ლიმიტების გადაჭარბება, ფულის გათეთრება.**
- **მატერიალური აქტივების დაზიანება - მაგალითად: ტერორიზმი, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურებები და სხვა;**
- **საქმიანობის შეფერხება და სისტემების მოშლა - მაგალითად: კომპიუტერების და პროგრამების მწყობრიდან გამოსვლა, შეფერხებები სატელეკომუნიკაციო სისტემებში, შეფერხებები კომუნალურ სფეროში და სხვა.**

„ბაზელი I„-საგან განსხვავებით (სადაც ყურადღება ძირითადად საკრედიტო რისკებზეა გამახვილებული), ბაზელის კომიტეტის მიერ მომზადებული „ბაზელი II„-ის საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციები ითვალისწინებს სტანდარტებისა და რეგულაციების შექმნას იმის თაობაზე, თუ რა მოცულობის კაპიტალი უნდა დაარეზერვოს საფინანსო ინსტიტუტმა რისკების შესამცირებლად. „ბაზელი II„ შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

I. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები (Minimum Capital Requirements). წარმოადგენს კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების ანგარიშს კრედიტორული, საბაზრო და ოპერაციული რისკების მიხედვით. კაპიტალის აქტივებთან დამოკიდებულება გაიანგარიშება რეგულირებას დაქვემდებარებული კაპიტალის და რისკით შეწონილი აქტივების გამოყენებით. მთელი კაპიტალისა და აქტივების შეფარდება (დამოკიდებულება) არ უნდა იყოს 8% ზე ნაკლები [17].

კაპიტალი / საკრედიტო რისკი + საბაზრო რისკი + საოპერაციო რისკი ≥ 8 %

II. ზედამხედველობის პროცესი (Supervisory Review Process). განიხილება საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, ასევე რისკების მართვის და ანგარიშების გამჭვირვალობის პრინციპები საბანკო ზედამხედველობის ორგანოების წინაშე. მოიცავს საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ საკითხებს (სტრეს-ტესტირება, დეფოლტის განსაზღვრა, საოპერაციო და კრედიტების კონცენტრაციის რისკი), ტრანსსასაზღვრო კავშირების ზრდას და ურთიერთქმედებას, ასევე დაცვის გარანტიებს [17].

III. საბაზრო დისციპლინა (Market Discipline). ავსებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს (I კომპონენტი) და ზედამხედველობის პროცესს (II კომპონენტი). კომიტეტი მიისწრაფის საბაზრო დისციპლინის სტიმულირებისკენ ინფორმაციის გახსნილობის შესახებ მოთხოვნების კომპლექსის შემუშავებით, რომლებიც საშუალებას მისცემს ბაზრის მონაწილეებს შეაფასონ ძირითადი მონაცემები გამოყენების სფეროზე, კაპიტალზე, რისკიანობაზე, რისკის პროცესების შეფასებაზე და შესაბამისად დაწესებულების კაპიტალის საკმარისობაზე. კომიტეტის აზრით, ინფორმაციის ასეთ გახსნილობა განსაკუთრებულად აქტუალურია [17].

ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების და მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, საბანკო სისტემის დონეზე საბანკო რისკების რეგულირების ძირითად მექანიზმებს წარმოადგენს:

1. ახლადშექმნილი ბანკებისთვის კაპიტალის მინიმალური დონის დაწესება;
2. მოთხოვნები კაპიტალის სტრუქტურისადმი და საკმარისობისადმი;
3. შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სამსახურების ორგანიზაციისა და საქმიანობისადმი მოთხოვნები;
4. ბანკის საერთო რისკებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობისადმი მოთხოვნები;
5. რისკების რაოდენობრივი შეფასების მეთოდებისადმი ნორმატიული მოთხოვნები და სხვა.

კომერციული ბანკების დონეზე რისკების მართვის გარე მექანიზმების გარდა გამოიყენება შიდა მექანიზმებიც, რომელთაც მიეკუთვნება რისკების შეფასების და მართვის შიდა მოდელები და მეთოდები: ლიმიტირება, ჰეჯირება, შიდა კონტროლი...

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, საბანკო სფეროს რეგულირებისათვის დადგენილია რისკის შემდეგი სახეები: საკრედიტო რისკი (თავი III), საბაზრო და საპროცენტო რისკები (თავი IV), ლიკვიდობის რისკი (თავი V), საოპერაციო რისკი (თავი VI), სამართლებრივი რისკი (თავი VII), რეპუტაციის რისკი (თავი VIII), სტრატეგიული რისკი (თავი IX) და შესაბამისობის რისკი (თავი X) [4]. წესებში საკმაოდ დეტალურად არის მოცემული თითოეული რისკის არსი და მათი მართვის ინსტრუმენტები. აღნიშნული წესების შემუშავებას საფუძვლად უდევს ბაზელის ფორმატით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS – Bank for International Settlements) ყოველწლიური შეხვედრები, საერთაშორისო პრაქტიკა და კომერციულ ბანკებში რისკების მართვის აუცილებლობა. წესები კომერციული ბანკების მიერ რისკების ეფექტიანად მართვისა და გაკონტროლების მიზნით შეიქმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბანკის მენეჯმენტს დროულად აღმოაჩინოს შესაძლო დანაკარგები და მისი უარყოფითი გავლენა ბანკის კაპიტალზე. გამომდინარე მის მიერ დადგენილი წესებიდან, 2008-2009 წლებში ეროვნული ბანკის ანტიკრიზისულ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულება გააჩნდა:

- საბანკო სექტორისთვის მოკლე და საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების მიწოდება;
- გაცვლითი კურსის კონტროლი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად [15, გვ. 61].

რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ, კომერციულმა ბანკმა თანამიმდევრობით უნდა განახორციელოს მათი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. რისკების შეფასების მიზანი ის არის, რომ ბანკმა შეძლოს მისი ბიზნეს საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების გაანგარიშება, რათა განისაზღვროს რისკების გავლენა ბანკის კაპიტალზე, რომელიც ამ ბიზნეს საქმიანობის ხელშესაწყობად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამის პარალელურად ბანკის მიერ რისკების მონიტორინგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ბანკის მიერ რისკების შეფასება, განსაკუთრებით ნებისმიერი ისეთი რისკის, რომელიც მნიშვნელოვანია და/ან შეუძლია გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე [4].

საბანკო რისკების მართვის თავისებურებები. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, კომერციული ბანკების რისკების მართვა უნდა განხორციელდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განრიგის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ბანკმა უნდა გაატაროს დაუყოვნებელი ღონისძიებები რისკების მართვის მომზადებასთან დაკავშირებით, მათ შორის დაადგინოს ბანკის შიდა მდგომარეობა, რომლის შედეგები გამოყენებულ უნდა იქნეს რისკების მართვის სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად. ბანკმა რისკების მართვა უნდა განახორციელოს ეტაპობრივად ან მის გარეშე [4].

„კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე„ დებულების შესაბამისად, საქართველოს საბანკო

სექტორში რისკების მართვის პროცესი მოიცავს შემდეგს:

1. **რისკების დადგენა:** რისკების დადგენის მიზანია ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებლი ყველა სახეობის რისკის იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანოს;

2. **რისკების შეფასება:** რისკების შეფასება გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად, რათა მიღებულ იქნეს რისკების მართვის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ სრული სურათი;

3. **მონიტორინგი და ლიმიტები:** რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი, მინიმუმ შემდეგნაირად უნდა დადგინდეს:

♦ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბანკის რისკების მასშტაბები ან მისგან გამოწვეული ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის ამტანობის ზღვრები;

♦ გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარსულის გამოცდილება ზარალთან მიმართებაში და ადამიანური რესურსების უნარი;

♦ ნებისმიერი პოზიციის დაწესებულ ლიმიტზე გადამეტების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა წარედგინოს რისკების მართვის სტრუქტურულ ერთეულს, რისკების მართვის კომიტეტს და საჭიროების შემთხვევაში დირექტორატს;

4. **რისკების მართვის საინფორმაციო სისტემები:** რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა, როგორც რისკების მართვის პროცესის ნაწილი, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ნაწილია, რომელიც რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად აუცილებლად უნდა შემუშავდეს;

5. **რისკების კონტროლი:** ბანკმა უნდა დააწესოს რისკების კონტროლი, რათა მართოს კონკრეტული რისკი, რადგან მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი რისკი, რომელმაც შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს ბანკის არსებობა;

6. **აქტივების და ვალებულებების მართვა:** საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლისათვის ბანკებმა უნდა განახორციელონ აქტივებისა და ვალდებულებების მართვა;

7. **სტრეს-ტესტების გამოყენება:** რისკების შეფასების მოდელების სტრეს-ტესტების გამოყენება [4].

თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ ბანკის მიერ რისკების მართვა არ არის ადეკვატური ან ეფექტიანი ბანკის განსაკუთრებული რისკის პროფილისათვის, კომერციულ ბანკს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გაუწიოს ინტენსიური ან სპეციალური ზედამხედველობა [4].

საინტერესოა, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების უმეტესობა რისკების მართვის მეთოდოლოგიას საიდუმლოდ ტოვებს. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ რამოდენიმე ზოგადი მეთოდი აქვს გამოქვეყნებული დეკლარირების დონეზე. ამ მხრივ ყველაზე ინფორმაციული ბანკი „რესპუბლიკას„ რისკების მართვის მექანიზმებია. რისკების ეფექტიანი და საიმედო მართვისათვის ბანკი „რესპუბლიკა„ კატეგორიების მიხედვით შემდეგი სახის რისკების მართვას აწარმოებს:

- **საკრედიტო რისკი:** ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული დანაკარგის რისკი. საკრედიტო რისკი შესაძლოა გაიზარდოს კონკრეტული კონტრაგენტის მასშტაბური დაკრედიტების გამო, რაც მაღალი კონცენტრაციის რისკს წარმოადგენს;
- **საბაზრო რისკი:** საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით, მერყეობითა და კორელაციით გამოწვეული რისკი;
- **საოპერაციო რისკი** (სამართლებრივი, საბუღალტრო, ეკოლოგიური, შესაბამისობისა და რეპუტაციის რისკი): დანაკარგის ან სანქციის რისკი, რაც გამოწვეულია პროცედურებისა და შიგა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, აგრეთვე, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით;
- **საინვესტიციო პორტფელის რისკი:** ბანკის საინვესტიციო პორტფელში კაპიტალის ღირებულების მერყეობით გამოწვეული რისკი;
- სტრუქტურული პროცენტისა და კონვერტაციის კურსის განაკვეთის რისკი: ბანკის აქტივთა გაუფასურების ან დანაკარგის რისკი, რაც გამოწვეულია პროცენტების ან კონვერტაციის კურსის განაკვეთის ცვლილებით;
- **ლიკვიდურობის რისკი:** დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი;
- **სტრატეგიული რისკი:** სტრატეგიასთან დაკავშირებული ან შერჩეული სტრატეგიის შეუსრულებლობის რისკი;
- **ბიზნესის რისკი:** ხარჯების შემოსავალზე მეტობით გამოწვეული ზარალის რისკი.

რისკების ეფექტიანი მართვა აუცილებლად გულისხმობს ყველა შესაძლო რისკის მართვას. აღნიშნული

მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ბანკში დამკვიდრებულია სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, შიდა აუდიტის, გარე აუდიტისა და თვით რისკების მართვის შიდა სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკმა უნდა განსაზღვროს რისკების მართვასთან დაკავშირებული თითოეული დონის სამსახურისათვის ზუსტი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.

ბანკისთვის არსებითი რისკის ფაქტორები საზოგადოდ ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: შიდა და გარე ფაქტორებად. რისკების შიდა ფაქტორები ბანკების საქმიანობის შედეგად ჩნდება და დამოკიდებულია მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების ხასიათზე, თვით ბანკების მიერ თავიანთი საქმიანობის ყველა მხარის მართვაზე. ასეთი ფაქტორებია, კერძოდ:

- **ბანკის პასივების, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის მეტნაკლებად არაეფექტიანი სტრუქტურა;**
- **ბანკის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული მეტ-ნაკლებად არაეფექტიანი სტრატეგია და პოლიტიკა, მათ შორის – რისკების ზომისა და ხარისხის არასწორი შეფასებები, მცდარი გადაწყვეტილებები, ოპერაციების ჩატარების პირობებისა და ვადების არასწორად განსაზღვრა, ბანკის დანახარჯებისა და დანაკარგების სათანადო კონტროლის უქონლობა და ა.შ.**
- **ბანკის თანამშრომელთა არასაკმარისი პროფესიონალიზმი;**
- **ბანკის საინფორმაციო, ფინანსური უსაფრთხოების მეტ–ნაკლებად არასაკმარისი უზრუნველყოფა;**
- **ბანკის კომპიუტერულ სისტემებში შეფერხების, დოკუმენტების დაკარგვის, ბუღალტრულ გატარებათა არასწორად და არადროულად განხორციელების შესაძლებლობა;**
- **ბანკის თანამშრომელთა მხრიდან თაღლითობისა და ბოროტმოქმედების აღკვეთის სრული გარანტიის უქონლობა და სხვა.**

საბანკო რისკების გარე ფაქტორები (წყაროები) ის პოტენციური, არასასურველი მოვლენებია, რომლებიც ბანკის გარეთ არსებულ სივრცეში ხდება და მის საქმიანობაზე არაა დამოკიდებული. ასეთი ფაქტორებია:

- **პოლიტიკური;**
- **სოციალური;**
- **სამართლებრივი (სამართლებრივი ნორმების უქონლობა, მათი გამკაცრება და დარღვევა);**
- **საერთო ეკონომიკური და ფინანსური;**
- **კონკურენტული (ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მხრიდან ზეწოლა);**
- **ინფორმაციული (პოლიტიკური, ეკონომიკური,სოციალური, კომერციული, ტექნიკური, ფინანსური და სხვა ინფორმაციის უქონლობა ან მათი უკმარისობა);**
- **სტიქიური უბედურებები (დაუძლეველი ძალის მქონე არასასიკეთო ბუნებრივი მოვლენები), აგრეთვე: ძარცვა, ავარიები და ხანძარი.**

ბანკების დაცვა რისკისგან. ბანკები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ რისკებისგან თავის დასაცავად. მათგან შეგვიძლია გამოვყოთ - ხარისხის მართვა, დივერსიფიკაცია, დეპოზიტების დაზღვევა და საკუთარი კაპიტალი.

ხარისხის მართვა რისკისაგან დაცვის ერთერთი მეთოდია, რომლის დროსაც მენეჯერები ცდილობენ მანამდე გადაჭრან ბანკში წარმოქმნილი პრობლემები, ვიდრე ისინი სერიოზულ სირთულეებს შეუქმნიან ბანკებს.

დივერსიფიკაცია არის რისკის შემცირების მიზნით კაპიტალის გადანაწილება სხვადასხვა აქტივებში. ბანკები, ჩვეულებრივ, ცდილობენ გამოიყენონ რისკის შემამცირებელი დივერსიფიკაციის ორი ტიპი - პორტფელური და გეოგრაფიული. პორტფელის დივერსიფიკაცია ნიშნავს ბანკის კრედიტებისა და დეპოზიტების განაწილებას კლიენტთა ფართო წრეზე. გეოგრაფიული დივერსიფიკაცია ნიშნავს, კლიენტების მოზიდვას სხვადასხვა გეოგრაფიული რაიონებიდან ან განსხვავებული ეკონომიკის პირობების მქონე ქვეყნებიდან. დივერსიფიკაციის ეს ფორმები ყველაზე ეფექტიანად ამცირებენ საბანკო რისკს, რადგან ამ დროს ერთი ჯგუფის კლიენტებისაგან მიღებული შემოსავლების კლების კომპენსირება სხვა ჯგუფისაგან მიღებული შემოსავლების მატებით ხდება.

დეპოზიტების დაზღვევა რისკისგან თავის დაცვის კიდევ ერთი მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს კრიზისის დროს ანაბრების დაბრუნების გარანტიას.

საკუთარ კაპიტალს (მფლობელთა კაპიტალს) იყენებენ რისკის შესამცირებლად, როდესაც ყველა დამცავი ხერხი ამოიწურება. მის ხარჯზე კომპენსირდება წარუმატებელი კრედიტებისა და ფასიან ქაღალდებში დაბანდებულ ინვესტიციათაგან, აგრეთვე, დანაშაულობებისა და მმართველური შეცდომისგან მიღებული დანაკარგები. ასე რომ ბანკს შეუძლია ფუნქციონირების გაგრძელება წამოჭრილი პრობლემე-

ბის მოგვარებამდე და ზარალის დაფარვამდე. საკუთარი კაპიტალი ბანკის გაკოტრების საწინააღმდეგო უკანასკნელი საშუალებაა, რაც უფრო მაღალია გაკოტრების რისკი (რომელი ფაქტორიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს საფრთხე, მით უფრო მეტი საკუთარი კაპიტალი უნდა ჰქონდეს ბანკს.

კომერციული ბანკების მიერ რისკების მინიმიზაციის ერთ-ერთი საშუალება ადეკვატური კაპიტალის შექმნაა. საქართველოში მოქმედი ბანკისათვის მინიმალური **საზედამხედველო კაპიტალის** ოდენობა დგინდება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით. საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს 12 მილიონ ლარს. საზედამხედველო კაპიტალის შემდგომი ზრდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ფულადი ფორმით და მხოლოდ საქართველოს ეროვნული ვალუტით. საზედამხედველო კაპიტალი არის კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისა და სხვადასხვა რისკის თავიდან აცილებისათვის [4].

პირველადი კაპიტალი უნდა შეადგენდეს საზედამხედველო კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტს. საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) ინვესტიციები საქართველოს რეზიდენტი ბანკების საწესდებო კაპიტალში;

ბ) არაკონსოლიდირებული ინვესტიციები ბანკის შვილობილი საწარმოების საწესდებო კაპიტალში.

რადგანაც საბანკო საქმიანობა მეტად სარისკოა, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო სფეროს სახელმწიფო რეგულირებას, რომელიც ითვალისწინებს ბანკების ლიცენზირების მთელ რიგ პრინციპულ მოთხოვნებს, მათი საქმიანობის სფეროს შეზღუდვას, კაპიტალის საკმარისობას, ლიკვიდურობას, აუცილებელი რეზერვების ფორმირებას.

საქართველოს კანონმდებლობით კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის სრული უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების მიზანია საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე ეროვნული ბანკის ინტერესების მაქსიმალური დაცვა. საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს კომერციული ბანკებისათვის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენით და მათი შესრულების კონტროლის განხორციელებით. საბანკო საქმიანობაზე კონტროლი ორი სახისაა: შიდა და გარე. გარე კონტროლს ახორციელებს ეროვნული ბანკი და გარე აუდიტორები. შიდა კონტროლის ორგანიზებას ახდენს თავად ბანკი. ამ ფუნქციას ახორციელებენ მენეჯერები, მათი უფლებამოსილების შესაბამისად, აგრეთვე შიდა აუდიტის შესაბამისი ორგანოები. შიდა საბანკო კონტროლის მთავარი დანიშნულებაა უარყოფითი ტენდენციების, ასევე საბანკო საქმიანობის ნაკლოვანებების აღმოჩენის და აღმოფხვრის ოპერატიული სისტემის შექმნა. შიდა საბანკო კონტროლი უპირველესად მიმართულია სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და ნორმატივების დაცვისაკენ.

მსხვილი რისკების რეგულირების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტები:

ა) ბანკის მიერ ერთი პირისთვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;

ბ) ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს;

გ) ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას;

დ) ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25%-ს.

აგრეთვე დადგენილია ბანკის მიერ პირებისათვის სესხის გაცემის შემდეგი შეზღუდვები:

ა) ბანკს ეკრძალება კლიენტს მისცეს სესხი თავისი აქციების შესაძენად;

ბ) ბანკს ეკრძალება კლიენტს მისცეს სესხი ამავე ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის ან მაკონტროლებელი პირის აქციების შესაძენად;

გ) ბანკს ეკრძალება კლიენტს მისცეს სესხი ამავე ბანკის შვილობილი კომპანიის აქციების შესაძენად.

ამ დებულებით დადგენილი ლიმიტების გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება ბანკის მიერ გაცემული სესხები და სხვა ვალდებულებები, რომლებიც:

ა) პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

ბ) პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო-ს„ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;

გ) უზრუნველყოფილია ,,ეგთო-ს„ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

დ) უზრუნველყოფილია ამავე ბანკში დაჯავშნული დეპოზიტებით.

ფინანსური რისკების დაზღვევა საქართველოში. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ქართული სადაზღვევო კომპანიები შემდეგი სახის ფინანსურ რისკებს აზღვევენ:

სადაზღვევო კომპანია ***ალდაგი ბი-სი-აი*** მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პოლისებს:

- **საბაჟო ვალდებულებათა შესრულების გარანტია - ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი**
- **საგარანტიო მომსახურება;**
- **სასაქონლო კრედიტის (კონსიგნაციის) რისკების დაზღვევა.**

„ჯიპიაი ჰოლდინგმა“ შეიმუშავა სადაზღვევო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავენ ფინანსური ინსტიტუტების პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზებას. მათ შორისაა:

- **BBB - ბანკების კომპლექსური სადაზღვევო მომსახურება;**
- **ელექტრონული და კომპიუტერული დანაშაულისაგან მიყენებული ქონებრივი ინტერესის დაზღვევა;**
- **კომპანიის დირექტორებისა და მენეჯერების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.**

ჩარტის ევროპა ს.ა. საქართველოს ფილიალი მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პროდუქტებს:

ა) საბანკო ბარათის მფლობელთა დაზღვევა

- **პოლისის მფლობელის მიერ გამოშვებული ბარათის თაღლითური გზით გამოყენება ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემდეგ – დაკარგული ან მოპარული ბარათის უკანონოდ გამოყენება;**
- **ბარათით ბანკომატიდან აღებული ფულის გატაცება ძარცვა/ყაჩაღობის გზით – ძარცვა;**
- **ბარათით შეძენილი ნივთის ქურდობა (უბრალო ქურდობის გამოკლებით), ძარცვა, ყაჩაღობა ან შემთხვევითი დაზიანება - შენაძენის დაცვა;**
- **ბარათის და მასთან ერთად ოფიციალური დოკუმენტაციის დაკარგვა ან მოპარვა – დოკუმენტების შეცვლა.**

ბ) კეთილსინდისიერების/ბოროტმოქმედებისგან დაზღვევა გულისხმობს ფულის ან სხვა ქონების დაკარგვას, რომელიც ქურდობის, თაღლითობის, დატაცების ან სხვა მსგავსი ბოროტმოქმედების შედეგია და ჩადენილია ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ განზრახ, დამოუკიდებლად ან სხვასთან შეთქმულებით. იგი მოიცავს შემდეგ რისკებს:

- **თანამშრომლის (დამოუკიდებლად ან მესამე მხარესთან შეთქმულებაში მყოფი) მიერ დამზღვევისათვის განზრახ მიყენებული ზიანი;**
- **მესამე პირთა დანაკარგი სათავსებში;**
- **დანაკარგი გადაზიდვის დროს;**
- **გაყალბებული საგადასახადო დავალებები;**
- **ჩეკებისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბება;**
- **მესამე მხარის კომპიუტერული თაღლითობა.**

გ) დირექტორებისა და ოფიცრების პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს დირექტორების, ოფიცრების და კორპორატიული პასუხისმგებლობის დაზღვევას და ითვალისწინებს კომპანიის, მისი შვილობილი კომპანიების დირექტორებისა და ოფიცრების დაცვას მესამე მხარის სარჩელებისაგან. ასეთი მესამე მხარე მოიცავს: აქციონერებს, თანამშრომლებს, კლიენტებს, კონკურენტებს. პოლისით შეიძლება დაიფაროს შემდეგი:

- **საიდუმლოს შენახვის ვალდებულების დარღვევა, შეცდომა, დაუდევრობა (მაგრამ არა პროფესიული პასუხისმგებლობა);**
- **დაზღვეული კომპანიის ან სხვა ორგანიზაციის დირექტორის ან ოფიცრის რაიმე სახის ქმედება;**
- **დასაქმების წესების დარღვევა.**

დ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს ყველა იმ ზარალის დაფარვას, რომლისთვისაც დამზღვევს სარჩელი წარედგინება პროფესიული მოვალეობების დარღვევით გამოწვეული ზიანის გამო. არამართლზომიერი პროფესიული ქმედება მოიცავს: გაუფრთხილებლობას, შეცდომასა

და დაუდევრობას; მოვალეობის შეუსრულებლობას; რწმუნების დარღვევას, მათ შორის რწმუნებულის ვალდებულებების დარღვევას; საიდუმლოს გათქმას; უფლებამოსილების შესახებ გარანტიის დარღვევას; ჭორს და ცილისწამებას (არა წინასწარ განზრახული სისხლის სამართლის ქმედება); თანამშრომელთა არაკეთილსინდისიერებას, თაღლითობას, ბოროტგანზრახვით ან სისხლის სამართლის ქმედებას; დოკუმენტების (და კომპიუტერული სისტემების) დაკარგვას; სასამართლოში დასწრების ხარჯების ანაზღაურებას.

საინტერესოა რომ ჩარტის ევროპა ს.ა. საქართველოს ფილიალი ფინანსურ რისკებში აერთიანებს პასუხისმგებლობის დაზღვევას. საზღვარგარეთაც მიღებულია მსგავსი პრაქტიკა.

„აი-სი„ ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პროდუქტებს:

- **კომპლექსური საბანკო დაზღვევა**
- **საქმიანობის დროებით შეჩერებისგან დაზღვევა**
- **გირაოს დაზღვევა**
- **საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი ფინანსური გარანტიები**
- **სხვა ფინანსური გარანტიები.**

საქართველოში ფინანსური რისკების დაზღვევას გარკვეულ სტიმულაციას აძლევს სახელმწიფო. კერძოდ, სახელმწიფო ითხოვს გარანტებს კომპანიებისგან (გარანტი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელსაც გასცემს ან ბანკი ან სადაზღვევო კომპანია). სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები არ აფორმებენ ხელშეკრულებას შემსრულებლის მიერ გარანტის პოლისის წარდგენის გარეშე, არც წინასწარ თანხებს რიცხავენ, რაც იმას ნიშნავს რომ ფინანსური რისკებისაგან დაზღვევა ნელ–ნელა ფეხს იკიდებს სადაზღვევო ბაზარზე.

ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტებიდან გამოყოფენ შემდეგ სადაზღვევო პაკეტებს:

საგარანტიო მომსახურება - წინასატენდერო გარანტია (საჭიროა იმისათვის რომ კლიენტმა ტენდერში მიიღოს მონაწილეობა); ხელშეკრუყლების უზრუნველყოფის გარანტია (იმისათვის რომ კლიენტმა ბენეფიციართან გააფორმოს ხელშეკრულება); საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა (ბენეფიციართან წარსადგენად წინასწარ ავანსის ასაღებად); საბაჟო გარანტია (რაიმეს დროებითი განბაჟების ან დროებითი გადამუშავების რეჟიმში მოსაქცევად); TIR–ის გარანტია (საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ლიცენზიის მისაღებად) და ხარისხის გარანტია (ამა თუ იმ სამუშაოების დასრულების შემდეგ ბენეფიციარი შემსრულებელს უკავებს პროექტის ღირებულების გარკვეულ პროცენტს, მასზედ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუ რაიმე დეფექტი აღმოიფხრა, დაკავებული თანხის მეშვეობით კლიენტი აღმოფხვრის ამ დეფექტებს. ხარისხის გარანტიის წარდგენის შემთხვევაში დაკავებული თანხა კლიენტს უბრუნდება და ამ გარანტიის მეშვეობით ხდება მომავალში ზარალის ანაზღაურება.

ყველაზე აქტიური მოთხოვნა ფინანსური გარატიებიდან არის წინასატენდერო, ხელშეკრულების შესრულების და საავანსო გარანტიებზე.

საბაჟო ვალდებულებათა შესრულების გარანტია. ფინანსური რისკების დაზღვევის აღნიშნული პოლისის გაცემა შეუძლია ბანკებსაც (ამდენად ის არ წარმოადგენს მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების პროდუქტს). საბაჟო გარანტია არის საქონლის მესაკუთრის, მფლობელის ან გადამზიდავის მიერ საბაჟო ორგანოსთვის წერილობით ან ელექტრონული ფორმით საბაჟო ვალდებულების (გადასახდელების გადახდა, საქონლის საბაჟოზე დროული წარდგენა და სხვა) უზრუნველყოფა. მაგალითად, როცა საზღვარგარეთიდან დროებით შემოაქვთ საქონელი, ვალდებულებების პირობების დარღვევისას სადაზღვევო კომპანია (ან ბანკი) აანაზღაურებს ხარჯებს.

სახელმწიფო შესყიდვების დაზღვევა - როდესაც რომელიმე სახელმწიფო უწყება აცხადებს ტენდერს (მაგალითისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შკოდის მარკის ავტომანქანების შეძენა) და გამარჯვებულ კომპანიას შესყიდვის განსახორციელებლად გადასცემს თანხას, სწორედ შესყიდვებისთვის განკუთვნილ ვადაში იზღვევა გადაცემული თანხა. ამ დროს კომპანიის არაკეთილსინდისიერებით გამოწვეული რისკის თავიდან ასაცილებლად (თუ გადაიფიქრებს ან უბრალოდ უარს იტყვის მოვალეობის შესრულებაზე) ტენდერის ორგანიზებაზე გაწეულ ხარჯებს დაფარავს სადაზღვევო კომპანია. ***სატენდერო გარანტია*** უზრუნველყოფს სატენდერო მასალების კეთილსინდისიერად მომზადებას. იგი გარანტიას აძლევს დამქირავებელს, რომ ტენდერის მონაწილე გამარჯვების შემთხვევაში სატენდერო დოკუმეტაციით განსაზღვრული პირობებით გაფორმდება ხელშეკრულება. ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს კონტრაქტის ღირებულების დაბალ საპროცენტო განაკვეთს და უქმდება ხელშეკრულების შესრულების შემდეგ. რისკები:

1. სატენდერო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ ტენდერის მონაწილის უარი ტენდერში მონაწილე-

ობაზე, ტენდერის მოქმედი ვადის ამოწურვამდე.

2. ტენდერში გამარჯვების შემდეგ მონაწილის უარი დამკვეთთან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე.

3. ტენდერის მონაწილე დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედებისთვის საკონტრაქტო სამუშაოს შესრულების დროს.

მაგალითად, რომელიმე სახელმწიფო უწყება მის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას გადასცემს თანხას, რათა განახორციელოს შესყიდვა. შესყიდვებისთვის განკუთვნილ ვადაში იზღვევა გადაცემული თანხა, რათა თავიდან იქნას აცილებული კომპანიის არაკეთილსინდისიერებით (მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა) გამოწვეული რისკი. ამ შემთხვევაში გაწეულ ხარჯებს ტენდერის ორგანიზებაზე და ა.შ. დაფარავს სადაზღვევო კომპანია.

საავანსო გარანტია. გარანტია ეძლევა დამქირავებელს, მასზედ რომ მის მიერ კონტრაქტორისადმი წინასწარი ანგარიშსწორებისას გადახდილი თანხა ხელშეკრულების შესაბამისად გაიხარჯება ან წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა დაუბრუნდება დამქირავებელს კონტრაქტორის მიერ.

გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. აღნიშნული გარანტია არის პასუხისმგებლობა მასზედ, რომ კონტრაქტორი შეასრულებს სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. გარანტი პასუხისმგებელია შეუსრულებლობაზე, დაგვიანებაზე და განსაზღვრულ ჯარიმებზე.

სასაქონლო კრედიტის (კონსიგნაციის) რისკების დაზღვევა. კომპანია სთავაზობს მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას ისეთი შეთანხმების საფუძველზე, რომ ანგარიშსწორება მოხდება მოგვიანებით. სასაქონლო კრედიტის რისკების დაზღვევა იცავს მომწოდებელს და მწარმოებელს კრედიტის პირობებით მიწოდებული საქონელის ან მომსახურების გადაუხდელობის რისკისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფინანსური რისკების დაზღვევა წარმოდგენილია სამი ტიპის პოლისით: **ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა.**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ***ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის*** ხუთი წლის დინამიკა. როგორც ცხრილიდან ჩანს პირველი ოთხი წელი ის ზრდადი იყო, ხოლო 2012 წელს ადგილი ჰქონდა ვარდნას თითქმის 50%-ით.

ცხრილი: 1. ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა

№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	ალდაგი ბი-სი-აი	2008758	1569440	686649	1469155	793669
2	"იმედი L International" *	482912	331107	482801	507635	258962
3	ჯი-პი-აი ჰოლდინგი	507543	963617	1160358	1740533	1351179
4	,,სახალხო დაზღვევა“	1036899				
5	„არდი ჯგუფი“			612191	2223767	1879410
6	,,ირაო“	3062868	3511620	1169884	172010	1936
7	ტაო	645436	1332159	463788	88077	24312
8	„სტანდარტ დაზღვევა საქართველო“			3018	22416	48037
9	აი-სი ჯგუფი	1174445	1962263	1117564	241664	54699
10	პარტნიორი	137384	68101	150732		
11	ვესტი	6150889	9387349	5618801		
12	მობიუსი		222351	2818485		
13	უნისონი				562318	427476
	ჯამი	15207134	19348007	14284271	7027574	4839680

***** სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International“-ის მონაცემები წარმოდგენილია 2012 წლის 9 თვის ანგარიშგების შესაბამისად

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ. გვერდი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები.http://nbg.gov.ge/index.php?m=489

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ***ასახავს საფინანსო დანაკარგებისაგან დაზღვევას.*** როგორც ცხრილში ვხედავთ, საფინანსო დანაკარგებისაგან დაზღვევის დინამიკა არის ზრდადი.

ცხრილი: 2. საფინანსო დანაკარგებისაგან დაზღვევა

№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	ჯი-პი-აი ჰოლდინგი	559 321	421039	415444	504248	498320
2	,,სახალხო დაზღვევა“	58746				
3	,,ქართუ“		29750		38957	37341
4	,,ირაო“	26103	171290	176771		750031
5	ჩართისი ჯორჯია	34122	13600	400558	577368	248 000
6	აი-სი ჯგუფი	94645	328030	253266	278422	255365
7	პარტნიორი	18738				
8	ვესტი			6374		
9	უნისონი				14496	240482
	ჯამი	791674	963709	1252414	1413490	2029654

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ. გვერდი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები.http://nbg.gov.ge/index.php?m=489

საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევისთვისაც ასევე დამახასიათებელია ზრდადი დინამიკა, თუმცა მისი ბაზარი ნაკლებად სტაბილურია, რადგან მუდმივად იცვლება კომპანიები ან აკლდება ძველი, ან ემატება ახალი მოთამაშე.

ცხრილი: 3. საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა

№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	"იმედი L International" *		952	18,012	908,727	8,648
2	ქართუ	12,796	9,438			
3	„არდი ჯგუფი“					83,092
4	ტაო					398,916
	ჯამი	12,796	10,391	18,012	908,727	490,656


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ. გვერდი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები.http://nbg.gov.ge/index.php?m=489

ექსპერტთა აზრით, ფინანსური რისკების დაზღვევის ბაზარი საქართველოში ზრდადია და თანდათან ვითარდება. ქვემოთ მოცემული გრაფიკიდანაც ნათლად ჩანს, რომ წლის დასაწყისისთვის გაფორმებული პოლისები ყოველთვის არ მუშაობდა წლის ბოლომდე. ჩვენთვის უცნობია კონტრაქტის შეწყვეტის მიზეზები, (რადგან ამაზე საუბრისგან თავი შეიკავეს კომპანიის წარმომადგენლებმა), მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რომელიღაც მხარე არ იცავდა ნაკისრ ვალდებულებას (იხ. გრაფიკი 1).

ამრიგად, არც ერთი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურა არ აფორმებს ხელშეკრულებას შემსრულებლის მიერ გარანტის პოლისის წარდგენის გარეშე, არც წინასწარ თანხებს რიცხავენ, რაც იმას ნიშნავს რომ ეს პროდუქტი ნელ–ნელა ფეხს იკიდებს სადაზღვევო ბაზარზე.

ეროვნული ბანკის მონაცემებით ფინანსური რისკების დაზღვევა წარმოდგენილია სამი ტიპის პოლისით: ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევა, ვალდებულებათა დაზღვევა, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა. დღესდღეობით გაიცემა, შემდეგი სახის ფინანსური გარანტიები: წინასატენდერო გარანტია, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა, საბაჟო

გრაფიკი: 1. ფინანსური რისკების პოლისების გაყიდვების სტატისტიკა 2009-2012წწ.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ. გვერდი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. http://nbg.gov.ge/index.php?m=489



გარანტია, TIR–ის გარანტია (საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ლიცენზიის მისაღებად) და ხარისხის გარანტია. პროდუქტის განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტი იქნება პირველ რიგში, თუ რომელიმე სადაზღვევო კომპანია ისე არ აანაზღაურებს ზარალს, როგორც გარანტიაში აქვს გაწერილი და ეს უკვე გამოიწვევს სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის დაკარგვას. სწორედ სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის არ არსებობის ბრალია, რომ ბევრი ბენეფიციარი მხოლოდ ბანკიდან წარმოდგენილ ფინანსურ გარანტიას ითხოვს, რაც ხელს უშლის სადაზღვევო ბაზარზე ამ პროდუქტის განვითარებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პროდუქტის უმთავრესი ნაკლია ის გარემოება, რომ ის არ არის მხოლოდ დაზღვევის პროდუქტი და მისი გაცემა შეუძლიათ ბანკებსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფინანსური რისკების დაზღვევა ნაკლებადაა განვითარებული. დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია გასცემს ფინანსურ გარანტიებს. სადაზღვევო ბაზარზე საერთოდ არ არსებობს ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტი, რომლის გაცემა მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების პრეროგატივაა. ბანკები იყენებენ შიდა რისკ-მენეჯმენტს, რომელსაც არეგულირებს ეროვნული ბანკი. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რისკების დაზღვევაში ბანკები გვევლინებიან სადაზღვევო კომპანიების კონკურენტებად.

სადაზღვევო სფეროში ფინანსური რისკების დაზღვევის განვითარების ხელისშემწყობ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ პროექტების ზრდა, რომლებზედაც გამოცხადდება ტენდერები. ასევე მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლება. ამით მეწარმე შეეცდება ფინანასური გარანტიის საჭიროებისას მიმართოს არა ბანკს, არამედ სადაზღვევო კომპანიას.

თენგიზ ვერულავა,
მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნელი კილასონია,
საქართველოს ბიზნესის აკადემიის მენეჯერი.

ბიბლიოგრაფია

1. ბერიძე რ. 2009. საბანკო მენეჯმენტი, თბილისი.
2. ბორჩაშვილი ბ. 2011. საბანკო რისკების მართვის თავისებურებები საქართველოში, თსუ.
3. გიგოლაშვილი გ. 2010. სადაზღვევო საქმე. თბილისი.
4. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე„, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება #71, 2008 წ. 17 მარტი, www.nbg.gov.ge
5. მაგრაქველიძე დ. 2012. ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები, თბილისი.
6. ნარმანია დ. 2011. საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, თსუ.
7. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2008-2010 წ.წ.
8. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში (2012 წელი) 64-110 გვ. (www.nbg.gov.ge/uploads/.../2012/annual_report_04_30_saitistvis.pdf)
9. საქართველოს ეროვნული ბანკი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. http://nbg.gov.ge/index.php?m=489
10. სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი ვებ გვერდი. http://www.family.ge/index.php?m=64&q=ფინანსური+რისკების+დაზღვევა (26.10.2013)
11. სადაზვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის ვებგვერდი. http://www.gpih.ge/gpih/corporate/financialrisks.php?sphrase_id=11198 (26.10.2013)
12. სადაზვევო კომპანია აისი ჯგუფის ვებ გვერდი. (http://www.icgroup.ge/index.php?a=main&pid=15&lang=geo (26.10.2013))
13. სადაზვევო კომპანია ვესტის ვებ გვერდი. http://www.vesti.ge/index.php?search_text=ფინანსური+რისკების+დაზღვევა&georgiankb=checkbox&search=search&lang=geo (26.10.2013)
14. სადაზღვევო კომპანია ჩარტისი. http://www.chartisinsurance.com/financial-lines_890_218855.html (26.10.2013)
15. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში - 2009, საქართველოს ეროვნული ბანკი, გვ. 61., www.nbg.gov.ge
16. ცინარიძე რ. 2009. სადაზღვევო ბაზრის ფორმირება - განვითარების რეგიონული ასპექტები, ბიზნესი და კანონმდებლობა. №7-8,
17. Basel Committee on Banking Supervision. Strengthening the resilience of the banking sector, Bank of International Settlements, 2009, Part 2: The First Pillar – Minimum Capital Requirements, www.bis.org
18. Thoyts R 2010. Insurance Theory and Practice. Routledge; 1 edition.
19. Rejda G. E. 2010. Principles of Risk Management and Insurance (11th Edition). Prentice Hall.
20. Risk and Regulatory Policy IMPROVING THE GOVERNANCE OF RISK. OECD 2010
21. Risk Management and Asset and Liability Management in Banks, Technical Assistance Consultant's Report TA 6454 (REG) Asian Development Bank, 2008.
22. Strengthening the resilience of the banking sector, Basel Committee on Banking Supervision, Bank of International Settlements, 2009, www.bis.org
23. Воронин Ю.М., Управление банковскими рисками, М, 2007

FINANCIAL RISK INSURANCE TRENDS IN GEORGIA

Tengiz Verulava, Doctor of Medical Science. Ilia State University
Neli Kilasonia, Manager of SBA. Business Academy of Georgia

ABSTRACT

Precondition: The theme of article is financial risk management and Insurance system development trends in Georgia and formation of its key features. ***Methodology:*** We have studied the theoretical secondary materials: Risk, Financial Risk, The standards for worlds financial institutions, articles and publications published in various journals, the results of the research conducted by governmental and non-governmental organizations. All of this was followed by the primary information, such as: qualitative researches carried out by insurance companies and we learned from the officials what kind of financial risk insurance products work in Georgia. ***Results:*** This study allowed us to present how companies manage their financial risks in Georgia and if this risks are insured, what kind of financial risk are insured by Georgian insurance companies and what are the dynamics of financial risk insurance, etc. ***Conclusion:*** The development of the insurance sector primarily depends on several issues such as: formation of insurance companies' culture, stabilization of economy, if societies trust for insurance companies grows. These factors impede the development of insurance sector.